საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1624

09/12/2021

ქ. თბილისი

„შპს „ბუკაპის“მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების შეცვლისა და წარმადობის გაზრდაზე (ახალი ტექნოლოგიური ხაზის მოწყობის) პროექტის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 12 აპრილის № 2-239 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილ იქნა ქ. ჭიათურაში შპს „ბუკაპის“ მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების შეცვლისა და წარმადობის გაზრდაზე (ახალი ტექნოლოგიური ხაზის მოწყობის) პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, რომელზეც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 12 აპრილის №2-239 ბრძანებით გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

აღნიშნულ ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, ბრძანების პირველ და მე-4 პუნქტებში მითითებულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ნომერი და თარიღი (N19; 19.03.2018) რაც საჭიროებს შესწორებას.

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 59-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „შპს „ბუკაპის“მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების შეცვლისა და წარმადობის გაზრდის (ახალი ტექნოლოგიური ხაზის მოწყობის) პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 12 აპრილის № 2-239 ბრძანების:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება შპს „ბუკაპის“ მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების შეცვლისა და წარმადობის გაზრდაზე (ახალი ტექნოლოგიური ხაზის მოწყობა);“

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. შპს „ბუკაპმა“ საქმიანობა განახორციელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული შემდეგი პირობების დაცვით:“

2. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ბუკაპს“;

3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ბუკაპის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

4. აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში- საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი